

პოსტათონური ევქოლოგიონის ხელნაწერთა
ერთი ჯგუფის ტიპოლოგიისათვის

პავლე ჭიპაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამაზ კოჭლამაზაშვილი

თბილისი

2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

პ. ჭიპაშვილი

22.12.2018

აბსტრაქტი

ევქოლოგიონი ეწოდება ქრისტიანული ეკლესიის ლიტურგიკულ წიგნს, რომელიც მოიცავს ღმრთისმსახურების ლოცვით კომპონენტს. ქართულად არსებობს ამ წიგნის რამდენიმე რედაქცია, რომელთაგან გამოირჩევა გიორგი მთაწმიდელის (+1065) მიერ თარგმნილი „დიდი ევქოლოგიონი“. ეს ძეგლი თავდაპირველი სახით ჩვენამდე მოღწეული არაა. მისი ნაწილები შემორჩენილია ე.წ. პოსტათონურ ლიტურგიკულ ანთოლოგიებში, რომელთა შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკლესიის და ქართული კულტურის ისტორიისათვის.

პოსტათონური ევქოლოგიონის ხელნაწერები 50-მდე სრული კრებულისა და 200-ზე მეტი ფრაგმენტის სახითაა ჩვენამდე მოღწეული. თითოეულ ანთოლოგიას ინდივიდური შედგენილობა აქვს, და შემდგენელი მწიგნობრის ლიტერატურულ ინტერესსა და მის ხელთ არსებული წყაროების რაობას ასახავს. ამ ანთოლოგიების შედარებითი შესწავლა და ტიპოლოგიური დაჯგუფება შესაძლებლობას მოგვცემს, გამოვიკვლიოთ პოსტათონური ევქოლოგიონის განვითარების გზები.

კვლევისათვის ჩვენ შევარჩიეთ ხუთი პოსტათონური კრებული (Sin.73, A-72, A-450, A-294 და A-1505), გამოვყავით მონათესავე წყვილები (A-72 // A-450 და A-294 // A-1505) და ვცადეთ უძველეს ხელნაწერთან (Sin.73-თან) მათი მიმართების განსაზღვრა. ჩვენი დასკვნით, Sin.73-თან უფრო მეტი სიახლოვე აქვს A-294 // A-1505 ჯგუფის ხელნაწერებს, ხოლო A-72 // A-450 ჯგუფი მისგან მნიშვნელოვნადაა დამორებული და გაცილებით გვიანდელი ნამუშევარი უნდა იყოს.

Abstract

The Euchology is called a liturgical book of the Orthodox/Christian Church, which includes the components of the prayer of the Lord's service. There are several editions of this book in Georgian, out of which the most distinguished translation is by Giorgi Mtatsmindeli's (+1065) "Great Euchology". This monument is not presented in its original form. Its parts are preserved in Post-Athonic liturgical anthologies, the study of which is of great importance for the history of Georgian church and Georgian culture.

The manuscripts of the Post-Athonic Euchology have come to us in the form of more than 50 complete collections and more than 200 fragments. Each anthology has its individual composition and reflects the scribe compiler's true essence of the literary interests and its sources. Comparative study of this anthology and a typological grouping will enable us to examine the ways of Post-Athonic Euclonology.

For the study, we selected five Post-Athonic collections (Sin.73, A-72, A-450, A-294 and A-1505), identified related couples (A-72 // A-450 and A-294 // A-1505) and tried to define their relationship with the ancient manuscript. (Sin.73). According to our conclusion, Sin.73 has more close proximity to the A-294 // A-1505 manuscripts, and the A-72 // A-450 group is significantly away from it and should be much later work.

მადლობა

გულითად მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ თამაზ კოჭლამაზაშვილს, გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის.